პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 იანვარი, შაბათი, 1989 წ. № 10 (9927) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# პარტიისა და ხალხის ერთიანობა

**პრესაში** გამოქვეყნდა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 10 იანვრის პლენუმზე.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეწონილად სცნო შეაჯამოს გარდაქმნის პირველი წლების შედეგები და ხალხს წარუდგინოს პარტიის ძირითადი მიმართულებანი უახლოესი მომავლისთვის.

აღნიშნულ პერიოდში რეალობად იქცა ქვეყნის ცხოვრების მკვეთრი შემობრუნება უძრაობიდან ლენინური იდეებისკენ. ეს შემობრუნება პარტიის ხელმძღვანელობით 1985 წლის აპრილიდან დაიწყო, რასაც მძლავრი იმპულსი შესძინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ, რომელმაც კრიტიკულად შეაფასა ქვეყნის მდგომარეობა და შეიმუშავა გარდაქმნის ერთიანი პროგრამა, პრაქტიკული მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა.

პარტია თავის წინასაარჩევნო პროგრამაში პირდება საბჭოთა ხალხს, რომ ბოლომდე ერთგული დარჩება გარდაქმნის იდეებისა, ძალას და ღონეს არ დაიშურებს ჩვენი საზოგადოების რევოლუციური განახლებისთვის. ამავე დროს იმედს გამოთქვამს, რომ ყველა ჩვენგანი, მთელი საბჭოთა ხალხი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს დასახული გეგმების ცხოვრებაში გასატარებლად.

პარტია ყველაფერს ილონებს აქტიური სოციალური პროგრამის განხორციელებისთვის — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის. იგი ყოველმხრივ ეცდება, რათა საბჭოთა ეკონომიკა უფრო დინამიური და ნოვატორული გახდეს, რათა დაჩქარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ამაღლდეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობა.

პარტიის მიზანია სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, ყოველი ადამიანის აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და მმართველობაში, პარტია ყველგან და ყველაფერში ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას გაატარებს, შექმნის პირობებს, რათა ხალხმა იცხოვროს უკეთ, უფრო ფართოდ გამოამჟღავნოს თავისი ეროვნული თავისებურებანი, უფრო მტკიცე გახდეს ხალხთა ძმური კავშირი.

პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია გარდაქმნის ინტელექტუალური პოტენციალის გაზრდა, ყოველმხრივ განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისთვის საჭირო პირობების შექმნა. იგი მხარს უჭერს ჩვენს საზოგადოებაში საჯაროობის, სოციალიზმის მაღალი ჰუმანური იდეალებისა და ფასეულობების დამკვიდრებას. ამავე დროს აღნიშნავს, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა კვლავაც ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობიან ცხოვრებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კომუნისტებსა და უპარტიოებს, მამაკაცებსა და ქალებს, ვეტერანებსა და ახალგაზრდებს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჯარისკაცებს, ყველა მოქალაქეს პარტიის პლატფორმის ერთიანობისკენ მოუწოდა. მიმართვაში გამოთქმულია რწმენა, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მომავალი არჩევნები იქნება დემოკრატიის სკოლა და ხალხის სრულუფლებიანობის ნამდვილი ზეიმი.





# ვინ მოვა ნაკრებ გუნდებში?

**ყოველი** ახალი წელი ოლიმპიურ ოთხწლეულში თავისებურ მიკროციკლს წარმოადგენს. მომავალ წარმატებებს ყოველდღიური დაუღალავი და მიზანმიმართული შრომით უმტკიცდება საფუძველი. ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია საქმიანობის სწორი ორგანიზაცია და საბოლოო შედეგის ზუსტი დაგეგმვა.

ნაკრები გუნდების მზადება საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის, მათი რეზერვის მომზადება დღეს მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების საზრუნავი არ გახლავთ. დიდია ამ საქმეში რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების თანადგომა და პრაქტიკული დახმარება. ეს სტიმულს აძლევს ჩვენი სპორტული მოძრაობის შემდგომ წინსვლას, რწმენას მატებს ადამიანებს.

ყველა რგოლში, ყველა უბანზე, დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება მაღალი კვალიფიკაციის კადრები. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს თვით სპორტის ბუნებიდან — მხოლოდ კომპეტენტურ, თავის საქმეში ღრმად გათვითცნობიერებულ და გაწაფულ სპეციალისტებს შესწევთ უნარი აკეთონ დიდი საქმე, თავიანთი აღსაზრდელები გაიყვანონ მსოფლიო სპორტულ არენაზე, გაუთანაბრონ მათი შედეგები საერთაშორისო სტანდარტებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია კადრების რაციონალური გამოყენების საკითხი. საჯაროობის პირობებში შესაძლებლობა გვეძლევა, თითოეულ ნაკრებ გუნდში მოვიდეს ყველაზე ღირსეული და მაღალი პასუხისმგებლობის სპეციალისტი. ახლა ეს მოთხოვნა საქართველოს სპორტსახკომის საგანგებო ბრძანებითაც განმტკიცდა. მწვრთნელებს ნაკრებ გუნდებში ვაკანტურ თანამდებობაზე აირჩევენ კონკურსის შედეგად, არჩევნები კი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარდება, ოლიმპიური ციკლის შესაბამისად.

ვითვალისწინებთ რა სიახლით საყოველთაო დაინტერესებას, ქვემოთ გთავაზობთ ნაკრები გუნდებისა და მათი რეზერვის მომზადებისათვის მწვრთნელთა შემადგენლობის ფორმირების დებულებას.

## საერთო დებულება

1. ცალკეულ სახეობათა საქართველოს ნაკრებების ამოცანები მოითხოვს სამუშაოდ კვალიფიციურ სპეციალისტთა მიზიდვას, რომლებსაც ძალუძთ სახეობის შემდგომი განვითარების ორგანიზება თანამედროვე მეცნიერულ დონეზე, სპორტსმენთა მომზადება ოლიმპიური თამაშებისთვის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის, საკავშირო კომპლექსური შეჯიბრებებისთვის (თამაშები, სპარტაკიადები) და აგრეთვე სრულფასოვანი რეზერვის მომზადება.

მწვრთნელთა შემადგენლობის საკონკურსო შევსების წესი მიზნად ისახავს კადრების უფრო რაციონალურ გამოყენებას, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის ზრდას, საზოგადოებრივი ინიციატივისა და ამხანაგური კრიტიკისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

2. საქართველოს სპორტსახკომის მიერ დამტკიცებული ვაკანტური თანამდებობები ივსება კონკურსის შედეგად ოთხი წლის ვადით, რის შემდეგ არჩეული სპეციალისტები ხელახლა გადაირჩევიან.

იმ შემთხვევაში, თუ მუშაკს აღარ აირჩევენ ახალი ვადით, მისი თანამდებობა ცხადდება ვაკანტურად და ხელახლა ტარდება კონკურსი.

3. უფროს მწვრთნელთა შემადგენლობის კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ უმაღლესი განათლების მქონე პირებს, რომლებსაც ძალუძთ მაღალკვალიფიციური სპორტსმენებისა და მათი სრულფასოვანი რეზერვის მომზადება.

### მწვრთნელთა შემადგენლობის თანამდებობათა შენაცვლების წესი

4. მწვრთნელთა შემადგენლობის არჩევასა და მის გადარჩევას ახალი ვადით ახორციელებს საქართველოს სპორტსახკომის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია. კომისიის პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება რესპუბლიკის სპორტსახკომის ბრძანებით.

საკონკურსოდ და ხელახლა გადასარჩევად მიღებულ დოკუმენტებს წინასწარ განიხილავს მოსამზადებელი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სპორტსახკომის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, ცალკეულ სახეობათა ფედერაციების, აგრეთვე მწვრთნელთა საბჭოების — კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფების წარმომადგენლები, წამყვანი მეცნიერები.

მოსამზადებელი კომისია იხილავს კონკურსზე და ხელახლა გადასარჩევად წარმოდგენილ დოკუმენტებს და ღია კენჭისყრის წესით (ხმათა

იხ. მე-2 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ორი მატჩი

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 56-ე საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**მინსკი.** რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდისა და ტალინის „კალევის“ შეხვედრის პირველი ნახევარი სტუმრებმა რვა ქულით (41:33) მოიგეს. შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო რტი-მ, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა — 73:70.

**ალმა-ათა.** ადგილობრივმა ასკ-მ დონეცკის „შახტიორს“ უმასპინძლა და დაამარცხა იგი 104:90 (57:46).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 13 იანვრისთვის

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (ალმა-ათა) | 17 | 12 | 5 | 1645-1579 | 29 |
| ცსკა | 14 | 14 | 0 | 1421-1125 | 28 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 18 | 10 | 8 | 1803-1745 | 28 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 19 | 6 | 13 | 1481-1631 | 25 |
| „კალევი“ (ტალინი) | 17 | 7 | 10 | 1459-1464 | 24 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრ.) | 18 | 6 | 12 | 1454-1551 | 24 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 12 | 11 | 1 | 1177-1054 | 23 |
| რტი (მინსკი) | 15 | 7 | 8 | 1244-1267 | 22 |
| „დინამო“ (თბილისი) | 16 | 6 | 10 | 1369-1444 | 22 |
| ვეფ (რიგა) | 20 | 2 | 18 | 1692-2018 | 22 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 14 | 6 | 8 | 1287-1238 | 20 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 8 | 7 | 1 | 800-731 | 15 |

# ხობის „კოლხეთი“ II ლიგაში

**როგორც** საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან შეგვატყობინეს, საქართველოს 1988 წლის ჩემპიონი ფეხბურთში ხობის „კოლხეთი“ 1989 წელს მონაწილეობას მიიღებს II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში.



**საქართველოს** მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატი უამინდობამ საგრძნობლად დააზარალა. არ გაგიკვირდეთ, შეჯიბრება თუმცა დარბაზში ჩატარდა, მაგრამ დიდთოვლობის გამო დასავლეთ საქართველოს ვერც ერთი გუნდი თბილისში ვერ ჩამოვიდა. ასე განახევრებული ტურნირი, ცხადია, საინტერესო სანახაობად ვერ იქცეოდა, მართლაც, ბევრ სახეობაში თითო-ოროლა სპორტსმენი ასპარეზობდა და მათ საკმაოდ დაბალი შედეგები აჩვენეს (მასალას შეჯიბრების შესახებ შემოგთავაზებთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში).

ს უ რ ა თ ზ ე: 200-მეტრიან დისტანციაზე შეჯიბრების ეპიზოდი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# ჯერ — მხოლოდ ქუთაისელები



**კლასიკური** სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა (1971-1972 წ. დაბ.) საკავშირო პირველობაზე რვა ქუთაისელი ფალავანი იასპარეზებს. ისინი წარმატებით გამოვიდნენ ზონალურ პირველობაზე, რომელიც მათ მშობლიურ ქალაქში ჩატარდა. ამასთან ავთანდილ ხეცურიანმა (62 კგ), გიორგი ჯინჭველაშვილმა (68), ოლეგ ქვაჩაკიძემ (81) და გიორგი საკაძემ (88) პირველი ადგილები დაიკავეს, ანდრო მორჩაძემ (მძიმე წონა) — მეორე, ხოლო დავით რუხვაძემ (54), ივანე ტყეშელაშვილმა (74) და ავთანდილ ჯინჭარაძემ (მძიმე წონა)—მესამე ადგილები. ქუთაისელთა მწვრთნელია ჯემალ კოსტავა. ამ რვა მოჭიდავიდან 6 დინამოელია, ხოლო ჯინჭველაშვილი და ტყეშელაშვილი —პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სახელით ასპარეზობენ.

სამწუხაროდ, უამინდობის გამო ქუთაისში ვერ ჩავიდნენ თბილისელი მოჭიდავეები. მათი მონაწილეობის საკითხი საკავშირო პირველობაზე მოგვიანებით გადაწყდება.

**ძიუდოს** მგზნებარე პროპაგანდისტი, სპორტის ოსტატი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გიორგი აბრამიანი იმ მწვრთნელთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სიახლეს, მიუხედავად სიძნელეებისა, ენერგიულად მოჰკიდებენ ხოლმე ხელს და გულდაჯერებული მიდიან მიზნისკენ. გიორგიმ თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სპორტულ სკოლასთან ძიუდოს მოყვარულ გოგონათა სპორტული სექცია ჩამოაყალიბა. გოგონებმა უკვე შეჯიბრებებშიც მიიღეს მონაწილეობა — რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს თბილისის პირველობაზე.

ს უ რ ა თ ზ ე: გ. აბრამიანი მეცადინეობაზე. თამრიკო ეჯიბაძე და ხათუნა ქათამაძე ყურადღებით ისმენენ მწვრთნელის დარიგებას.
გივი კიკვაძის ფოტო.



ტელეტაიპი — მკითხველს

**სიდნეი** (ავსტრალია). სამხრეთ უელსის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ჩაბმულ საბჭოთა კვარტეტიდან ასპარეზობას განაგრძობს მხოლოდ ანდრეი ჩერკასოვი, რომელმაც მერვედფინალში კრისტიან სახანი (გფრ) დაამარცხა 6:3, 6:3, მეოთხედფინალში კი ლიბორ ნემეჩეკი (აშშ) 6:1, 6:3. ალექსანდრე ვოლკოვი თანაბარ ბრძოლაში კრისტო ვან რენსბურგთან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) დამარცხდა 6:7, 6:7.

**ტამბაკოუნდა** (სენეგალი). პარიზ-დაკარის პოპულარული ავტორალის მე-13 ეტაპი (380 კმ) ფრანგმა გი ფრიკელენმა („პეჟო 405“) მოიგო — 2:53.10. რბოლის ერთპიროვნული ლიდერი ფინელი არი ვატანენი (ისიც „პეჟოთი“ ასპარეზობს) ამჯერად მეხუთე იყო, მაგრამ საერთო ჩათვლაში 5 წუთიან უპირატესობას ინარჩუნებს. მოტოციკლისტთა შორის დაწინაურებულია ფრანგი ჟილ ლალე („ჰონდა“). მე-13 ეტაპზე ლიდერს გზა აერია და ამის გამო ფინიშთან მეთხუთმეტე მივიდა, მაგრამ ამას რბოლის საერთო სურათი არ შეუცვლია.

**ბიოტებორგი.** მსოფლიო თასის ოთხგზისა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, შვედი მოთხილამურე გუნდე სვანი ავადმყოფობის შემდეგ კვლავ მწყობრში ჩადგა და ახლა ემზადება მსოფლიო თასის მორიგი ეტაპის სტარტისათვის, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ნოვე-მიასტოში გაიმართება.

**მოსკოვი.** კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე ჩატარდა ველოსიპედისტთა ექვსდღიანი ჯგუფური რბოლა. გამარჯვება მოიპოვა 17 წლის ლენინგრადელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დიმიტრი ნელიუბინმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცოტა ხნის წინ მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა 5 კილომეტრზე რბოლაში.

# ვინ მოვა ნაკრებ გუნდებში?

(დასასრული)

უმრავლესობით) იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. ეს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს თითოეული მწვრთნელის პროფესიულ კვალიფიკაციას, შემოქმედებით მონაცემებს, მის უნარს, შეასრულოს წაყენებული ამოცანები მორიგ ოლიმპიურ ციკლში.

5. საქართველოს სპორტსახკომის საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებებს კონკურსის შესახებ ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ან ახალი ვადით ასარჩევად ფარული, ანდა ღია კენჭისყრის წესით წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე თითოეული კანდიდატურის განხილვით.

6. ფარული არჩევის (ან გადარჩევის) დროს ამომრჩეველთა გვარები შეაქვთ ბიულეტენში.

თანხმობა ან კანდიდატის უარყოფა აღინიშნება ბიულეტენში კანდიდატის გვარის დატოვებით ან მისი წაშლით. თუ ამომრჩეველმა ბიულეტენში არც ერთი გვარი არ წაშალა, მაშინ თითოეული კანდიდატი თითო დადებით ხმას იღებს.

ხმების დასათვლელად საქართველოს სპორტსახკომის საკონკურსო კომისია კენჭისყრის წინ ირჩევს კომისიას სამი ადამიანის შემადგენლობით.

საკონკურსო კომისია ამტკიცებს თავის ოქმს და მას ურთავს საკონკურსო არჩევისა და გადარჩევის მასალებს.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ქმედითად ითვლება, თუ კენჭისყრაში მონაწილეობდა მისი დამტკიცებული შემადგენლობის ორი მესამედი მაინც. არჩეულად (ან ხელახლა არჩეულად) ითვლება ის მუშაკი, რომელიც მიიღებს დამსწრე კომისიის წევრთა ხმების 50 პროცენტზე მეტს. თუ ხმები თანაბრად გაიყოფა, ტარდება ხელახალი კენჭისყრა.

საკონკურსო კომისიის ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

მასალები კონკურსის ჩატარების (ან გადარჩევის) შესახებ, აგრეთვე კენჭისყრის ბიულეტენი, ინახება კადრების განყოფილებაში ოთხი წლის მანძილზე.

საქართველოს სპორტსახკომის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარესთან კენჭისყრის შედეგიდან 10 დღის განმავლობაში.

იმ პირებს, რომლებიც კონკურსში ან გადარჩევაში მონაწილეობენ, უფლება აქვთ დაესწრონ კომისიის სხდომას მათი კანდიდატურის განხილვის დროს.

### III. კონკურსების ჩატარების წესი

7. ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გასამართი კონკურსის შესახებ ქვეყნდება გაზეთ „ლელოში“. განცხადებები მიიღება ამ ცნობის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.

8. პირები, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, განცხადებით მიმართავენ საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარეს.

განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები.

ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

ბ) ავტობიოგრაფია.

გ) დახასიათება ბოლო სამუშაო ადგილიდან.

დ) დიპლომის ასლი განათლების შესახებ.

ი) მოწმობის ასლი დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, სპორტის ოსტატის ანდა მინიჭებული კვალიფიკაციის კატეგორიის შესახებ.

კ) ორი ფოტოსურათი (4X6 სმ.).

9. პირები, რომლებსაც აირჩევენ კონკურსზე, თანამდებობაზე მტკიცდებიან საქართველოს სპორტსახკომის ბრძანებით.

### IV. გადარჩევის ჩატარების წესი

10. მწვრთნელთა შემადგენლობის გადარჩევა, როგორც წესი, ხდება ოლიმპიადების ჩატარების წელს.

11. სია უფროსი მწვრთნელებისა, რომლებიც გადარჩევას ექვემდებარებიან, თანხმდება სპორტსახკომის პროფკომთან და მტკიცდება საქართველოს სპორტსახკომის ბრძანებით გადარჩევის კალენდარული წლის დაწყებამდე. ამის შესახებ ხელმოწერით ეცნობებათ უფროს მწვრთნელებს.

საქართველოს სპორტსახკომის ბრძანების საფუძველზე, გადარჩევამდე არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში, უფროსი მწვრთნელები მორიგი ვადით არჩევის შესახებ განცხადებით მიმართავენ საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარეს, რასაც თან ურთავენ შემდეგ დოკუმენტებს: დიპლომის ასლს კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ და აღნიშნულ თანამდებობაზე გაწეული მუშაობის ანგარიშს გასულ პერიოდში.

უფროს მწვრთნელებს, რომლებიც ავადმყოფობის, მივლინებაში ყოფნის ან სხვა მათგან დამოუკიდებელი მიზეზით მონაწილეობას ვერ მიიღებენ გადარჩევაში დამტკიცებული სიის მიხედვით, სხვა ვადებში ეძლევათ ამის საშუალება, რაზეც ქვეყნდება საქართველოს სპორტსახკომის ბრძანება, რომელიც წინასწარ თანხმდება სპორტსახკომის პროფკავშირთან.

12. უფროსი მწვრთნელები, რომლებიც აღარ შეიტანენ განცხადებას გადარჩევის შესახებ ანდა აღარ გადაირჩევენ მათ, თავისუფლდებიან ადრე დაკავებული თანამდებობებიდან გადარჩევიდან ან გადარჩევის სიის დადგენიდან არაუგვიანეს ორი თვისა. მის შრომის წიგნაკში, ჩვეულებრივ, შეაქვთ წარწერა: გათავისუფლდა თანამდებობიდან ახალი ვადით არჩევის გამო.

უფროს მწვრთნელთა გათავისუფლება სამუშაოდან, რომლებიც არიან სახალხო დეპუტატთა საბჭოს დეპუტატები, პროფკავშირული კომიტეტების თავმჯდომარეები ან წევრები, სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები, ხდება ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით, დაწესებული კანონმდებლობისა და წესის მიხედვით.

13. საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარეს უფლება აქვს გადარჩევის ვადის გასვლამდე დააყენოს სპორტსახკომის კომისიის წინაშე საკითხი გადაწყვეტილების გამოსატანად უფროსი მწვრთნელის თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეწონილობის შესახებ.

თუ საქართველოს სპორტსახკომის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ფარული კენჭისყრის საფუძველზე უფროს მწვრთნელს მიიჩნევენ შეუფერებლად დაკავებულ თანამდებობაზე, მიღებული გადაწყვეტილებიდან ორი თვის მანძილზე საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ათავისუფლებს მას თანამდებობიდან.

უფროსი მწვრთნელი, რომელსაც საკონკურსო კომისია დაკავებულ თანამდებობაზე შეუფერებლად მიიჩნევს, გათავისუფლდება სამუშაოდან და მას მიეცემა ერთდროული დახმარება ორი კვირის ხელფასის ოდენობით.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების წინ უფროსი მწვრთნელის მუშაობა უნდა შეამოწმოს საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მიერ დანიშნული სპეციალური კომისიის მიერ. სპეციალური კომისიის მასალები მწვრთნელის თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეწონილობის მოტივირებული დასკვნით უნდა გადაეცეს სპორტსახკომის საკონკურსო კომისიას. უფროსი მწვრთნელი სპეციალური კომისიის შემოწმების მასალებს უნდა გაეცნოს არაუგვიანეს ერთი კვირისა საკონკურსო კომისიის სხდომამდე.

14. სადავო საკითხები გათავისუფლების, ახალი ვადით აურჩევლობისა და თანამდებობაზე ყოფნის მიზანშეუწონლობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების შესახებ უნდა გადაწყდეს არსებული კანონმდებლობის მიხედვით შრომითი საკითხების განხილვის წესით.

# მკითხველთა წერილები

## რატომ ქართულად არ დავსტამბეთ?

**კარგია,** როცა ესა თუ ის სპორტული საზოგადოება ცდილობს საინტერესო პროპაგანდისტული პლაკატებით, მოწოდებით თუ სარეკლამო ტექსტით დააინტერესოს ადამიანები იმეცადინონ ფიზკულტურასა და სპორტში, მაგრამ რატომღაც თვალსაჩინოებით პროპაგანდის ეს ნაბეჭდი საშუალებები მეტწილად ერთენოვანია, მხოლოდ რუსული ტექსტით ისტამბება. რატომ?

ამას წინათ ერთგან თვალი მოვკარი აფიშირებულ მოწოდებას იმის შესახებ თუ რა სიკეთეს იძლევა ფიზკულტურა და სპორტი. იქვეა შემოთავაზებული საგანგებო ტესტი და შკალა, რომლის მიხედვით შეიძლება ორგანიზმის ფიზიკური დატვირთვის დოზირება. შესანიშნავია, მაგრამ ესოდენ საჭირო მასალა რატომ ქართულადაც არ დაიბეჭდა? საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოების პროპაგანდისა და აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებამ, რომელმაც ეს მოწოდება დასტამბა, მომავალში მაინც უნდა გაითვალისწინოს შენიშვნა.

**გოჩა ნასყიდაშვილი,**
**მშენებელი.**

## „გარდაქმნა“ ლელიანურად

**ლელიანი** ლაგოდეხის რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია, რომელსაც ფეხბურთის მოედანი აქვს, უფრო სწორად, ეს მოედანი საშუალო სკოლისაა და მას ამ უბნის მცხოვრებლებიც იყენებენ... სასურსათო პროგრამის შესასრულებლად. ამ მოედნიდან სოფლის მეორე ბოლომდე სამ კილომეტრზე მეტია, ამიტომ სოფლის ახალგაზრდებს ყოველ საღამოს „ცენტრში“ მისვლა უჭირთ.

ბებურიანის ქუჩის ახალგაზრდებმა საკუთარი სახსრებითა და მშობლების დახმარებით მოვაწყვეთ ფეხბურთის მოედანი მიტოვებულ, ქვაღორღიან ადგილზე, რომელსაც სოფლის თავკაცები ხრეშის ამოსაღებ კარიერად იყენებდნენ. ჩვენ მიერ მოწყობილ მოედნის ირგვლივ კაკლის ხეები დავრგეთ.

ამასთან, ამ მოედნის განაპირას პატარა წყაროა. ეს წყაროც გავალამაზეთ, ამოვიყვანეთ მაღლა და მილსადენარიც მოვაწყეთ, მაგრამ, სოფლის მთავარმა ზოოტექნიკოსმა შ. ჭუმბურიძემ, რომელიც ამ უბანში ცხოვრობს და მოედნის გამშვენიერებაში მონაწილეობა არ მიუღია, ჩვენს ნახელავს ცუდად დაადგა თვალი. ჯერ იქვე ქათმის ფერმა მოაწყვეს, მერე მისი გაუქმება და ღორების ფერმის გადმოტანა განიზრახეს. რა თქმა უნდა, ამ საქმეში ჩავერიეთ, რაიკომის მეორე მდივანი ბ. ლომიძე ჩამოვიდა და როგორც იქნა, გადავრჩით — ღორების ფერმა აღარ გადმოიტანეს.

ამის შემდეგ ორი წელი გავიდა და კოლმეურნეობას ლატვიიდან გამოუყვეს ხანაშინე დეკეულები. მთავარმა ზოოტექნიკოსმა ისევ მოინდომა ამ მოედნის ათვისება. ჩვენი პროტესტი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ცქიფურიშვილთან ზოოტექნიკოსის თანდასწრებით გამოვთქვით, მაგრამ დაგვცინეს და თავისი გაიტანეს. ახლა აღარც ჩვენ და აღარც ბავშვებს მოედანზე აღარ გვიშვებენ, ბალახი გაფუჭდებაო.

ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა რესპუბლიკაში აიტაცეს ლაგოდეხელი ვეტერანების მიმართვა რაიონის ახალგაზრდებისადმი სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაზე და მოედნების მოწყობის შესახებ.

გთხოვთ დაგვეხმაროთ, დაგვიბრუნოთ ჩვენი მოედანი და სოფლის ხელმძღვანელებსაც გააგებინოთ, რომ გარდაქმნა მარტო ძროხის წველადობის მომატება არ არის და ის ადამიანთა ყოფა-ცხოვრების, მათი გაჯანსაღების საქმესაც ემსახურება.

**რ. ხუციშვილი, ა. ბუზალაძე, დ. მერმანიშვილი, ნ. ქოზაევი, თ. მერმანიშვილი და სხვ.**

## მოედანი არც ჩვენს შვილებს აქვთ

**სოფელ** სვერის მოსახლეობა ძალიან გაიზარდა, ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის კი არავითარი საშუალებები არ გაგვაჩნია. ასე იყო ჩვენს ბავშვობაში და სამწუხაროდ ჩვენი შვილებიც ასე იზრდებიან.

სოფელში არ გვაქვს თუნდაც ერთი მარტივი ტიპის სათამაშო მოედანი. ჩვენ და ჩვენი შვილები უმორჩილესად გთხოვთ დაგვეხმაროთ, რათა ფეხბურთის მოედნისთვის გამოგვიყონ სოფელ სვერში საზოგადოების თავშეყრის ადგილთან ახლომდებარე მიწის ნაკვეთი, რომელსაც აქაურები „საჯეცხაოს“ უწოდებენ.

**ერეკლე ცუცქირიძე, ამირან ცუცქირიძე, ამირან ბურჯულაძე, ხუხარი ცუცქირიძე, ბესიკ ცუცქირიძე, ზურაბ ცუცქირიძე, ამირან სადუნიშვილი.**

ჭიათურის ზონა.

## ყურადღებას ნურც ნიჩბოსნებს მოაკლებთ

**როგორც** ძველი სპორტის მოყვარული, ჩვენც „ლელოს“ ერთგული მკითხველები ვართ. განსაკუთრებით გვიყვარს ნიჩბოსნობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად ვხვდებით წერილებს ნიჩბოსნობაზე. ამას წინათ თბილისელმა მოსწავლეებმა ითხოვეს, კალათბურთელებზე ხშირად წერეთო, არადა, მოგეხსენებათ, რამდენი იწერება ამ სახეობაზე. მაშ ნიჩბოსნებმა რაღა თქვან. განა მათ არ უნდათ გამხნევება, განა ისინი კალათბურთელებზე და ფეხბურთელებზე ნაკლებად იმსახურებენ ყურადღებას? ისინიც ხომ იცავენ საქართველოს სპორტულ ღირსებას. იმედია, ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებთ, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

**თბილისელი სტუდენტები: მანანა მაღრაძე, მარიკა ბარათელი, ქეთინო ჩივაძე, ნინო შუქურაშვილი, ზვიად ერგემლიძე, გიორგი ცაავა და სხვები.**

## შეეცვალოს სახელი

**ჩვენი** ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ამ რამდენიმე წლის წინ სამართლიანი შენიშვნები გამოითქვა იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკის საფეხბურთო გუნდებს უგემოვნო და ტრაფარეტული სახელები ჰქვია. ზოგიერთ რაიონში ყურად იღეს ეს შენიშვნები და გუნდებს კეთილხმოვანი სახელები შეარქვეს.

მაგრამ ახლა თბილისში გამოჩნდა ახალი გუნდი, რომელსაც სახელად ჰქვია „ლოკომოტივი“-ო.მ.ც. განა შეიძლება ახალგაზრდულ, პერსპექტიულ გუნდს ასეთი სახელი ერქვას? სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი“ აღარ არსებობს, გუნდი კი გვყავს და, გარდა ამისა, ეს ო. მ. ც. ვერაა რიგიანად მორგებული. ცხადია, ამ გუნდს სახელი უნდა შეეცვალოს, ამაზე კი უპირველეს ყოვლისა თვით გუნდის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს.

**თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს მუშაკები თ. ნადირაძე, ო. ლომსაძე, გ. ხიდაშელი, ლ. ხაჭომია, ვ. სტეფანიშვილი და სხვანი.**

# საშური საქმე

**თბილისის** 31-ე საშუალო პროფტექნიური სასწავლებლის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების გაცნობა მის ადმინისტრაციულ კორპუსში გამოფენილ ამ სასწავლებლის აღსაზრდელთა მიერ მოპოვებული დიპლომებით, სიგელებითა და თასებით დავიწყეთ. იქვე იყო გამოკრული სპორტულ მოედნებსა თუ ტურისტულ ბილიკებზე გადაღებული ფოტოსურათები.

— ჩვენ სასწავლებელს 64 წლის ისტორია აქვს, — გვეუბნება 31-ე პროფტექნიკურის დირექტორი სიმონ ლომსაძე. — იგი იანვრიდან ამიერკავკასიის რკინიგზის საბაზო ორგანიზაციად გადაიქცა. ახლა აქ მემანქანეთა თანაშემწეებსა და მატარებლის გამცილებლებს ვამზადებთ. ჩვენთან რვაკლასდამთავრებულთათვის სწავლის ვადა სამი წელია, ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულთათვის — ერთი წელი. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში ჩვენთან, ისე როგორც სხვა მსგავს სასწავლებლებში, მაღალი კლასის სპორტსმენის გაზრდა არ მოხერხდება, თუმცა, შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მოსწავლეები ფიზკულტურითა და სპორტით დავაინტერესოთ. სამწუხაროდ, ხელშემშლელი პირობებიც საკმაოდ გვაქვს. ყოველივე ამაზე კი უმჯობესია ჩვენი ფიზაღზრდის ხელმძღვანელ ვ. ფილატოვს ესაუბროთ.

ფილატოვი სპორტდარბაზში ვნახეთ.

**თუმცა, იმ ოთახს, სადაც ფიზკულტურის გაკვეთილი ტარდებოდა, სპორტდარბაზს ვერ ვუწოდებთ, ნახევრად სარდაფში 100 კვადრატული მეტრის ფართობი გამოუნახიათ, მოუასფალტებიათ და ინვენტარით აღუჭურვიათ. წინათ ესეც არ ჰქონიათ.**

„დარბაზში“ მე-20 ჯგუფის მოსწავლეები მეცადინეობდნენ.

მერე ჩვენი საუბარი ფიზაღზრდის ხელმძღვანელის სამუშაო ოთახში გაგრძელდა. აქაც კედლებზე უამრავი სიგელები და დიპლომები იყო გამოკრული.

— ეს ჯილდოები ჩვენმა აღსაზრდელებმა პროფტექნიკური სასწავლებლების რესპუბლიკურ სპარტაკიადებზე მოიპოვეს. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა წინა წლებში დაიმსახურეს, ბოლო დროს კი წარმატებებმა იკლო. ახლა ყველაზე კარგი გუნდი ცურვაში გვყავს. ჩვენი მოცურავეები პროფტექნიკური სასწავლებლების რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონები არიან. სხვადასხვა სტილის ჭიდაობებში უძლიერესთა რიგებიდან მეოთხე-მეხუთე ადგილებზე ჩამოვქვეითდით, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ პოზიციებს დავიბრუნებთ.

**სხვათა შორის, ამ სასწავლებელს რომ ცურვაში კარგი გუნდი ჰყავს, ეს შემთხვევითი არ არის. „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს საცურაო აუზი, შეიძლება ითქვას, ზედ სასწავლებლის ტერიტორიაზე იყო. დიახ, იყო, რადგან ეს აუზი შარშანწინ დაიწვა, მოცურავეთა ტრადიციები კი დარჩა.**

**იმ ხანძარს არც გვერდით მდებარე საჭიდაო დარბაზი გადაურჩა. ამ სასწავლებლის მოჭიდავეები იქ მეცადინეობდნენ, ახლა კი ეს სიკეთე მოაკლდათ. ამიტომ მათ, მოცურავეებისაგან განსხვავებით, პოზიციების შენარჩუნება ველარ შეძლეს.**

**იმ აუზსა და საჭიდაო დარბაზს შორისაა სასწავლებლის ღია სპორტული მოედნები — კალათბურთელთა და ფრენბურთელთა სარბიელი. ფიზკულტურის გაკვეთილებიც, როცა ამინდი საშუალებას იძლევა, ამ მოედნებზე ტარდება. აქ კიდევ შეიძლება მოედნების გაფართოება და კეთილმოწყობა, მაგრამ...**

**საქმე ის გახლავთ, რომ იმ ხანძრის შედეგად დარჩენილ ნანგრევებს დღემდე არავინ შეხებია. აუზი კოოპერატივისთვის გადაუციათ, მაგრამ დღემდე მისი აღდგენა არ დაუწყიათ.**

**არადა, ამ აუზში ცურვას ეუფლებოდნენ არა მხოლოდ 31-ე, არამედ სხვა პროფტექნიკური სასწავლებლებისა და რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეებიც, სხვა აუზი კი აქ, მრავალი კილომეტრის მანძილზე, არ არსებობს. ამიტომ აუზის აღდგენა და ამოქმედება მეტად საშური საქმეა.**

**ავთანდილ ჭუვიშელი.**

# „ადისი“ თბილისში თამაშობს

**თბილისში,** კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ორი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ აბოვიანის „ადისი“ და ალმა-ათის „უნივერსიტეტი“. ორივე შეხვედრა სომხეთის კალათბურთელებმა მოიგეს — 103:100 (55:53) და 100:80 (54:36). გამარჯვებულთა შორის თავი გამოიჩინეს ლ. ვორონენკომ და ლ. ალექსანდროვამ, რომლებმაც ორი მატჩის ჯამში თავის კოლექტივს შესაბამისად 62 და 60 ქულა შესძინეს.

15 და 16 თებერვალს აქვე ითამაშებენ „ადისი“ და კიევის „დინამო“.

# მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში

**ჰოლანდიაში** მიმდინარე მინიფეხბურთში მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში გამოვლინდნენ ნახევარფინალის მონაწილენი. გათამაშების დასკვნით ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან ბელგიისა და ბრაზილიის, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჰოლანდიის გუნდები.

მეოთხედფინალურ ჯგუფში ჰოლანდიელებმა, მართალია, მარცხი იწვნიეს ბელგიის გუნდთან შეხვედრაში (1:2), მაგრამ ამავე დროს უნგრელმა ფეხბურთელებმაც ანგარიშით 1:3 წააგეს იტალიის ნაკრებთან, რის შემდეგაც ჰოლანდიის ნაკრებს გზა გაეხსნა ნახევარფინალისკენ. პარალელურ მეოთხედფინალურ ჯგუფში ნახევარფინალის საგზურები უკვე განაღდებული ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრაზილიის გუნდებს, ბოლო მატჩში სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. ანგარიშით 5:3 გაიმარჯვეს ამერიკელმა ფეხბურთელებმა. პარაგვაისა და არგენტინის გუნდების შეხვედრა დამთავრდა პირველთა გამარჯვებით — 4:3.

დღეს შედგება ორივე ნახევარფინალური მატჩი, ხოლო 15 იანვარს — ფინალური შეხვედრა.

# ვ. გრანატკინის მემორიალზე

**ჩაზუკ** ფეხბურთელთა ლენინგრადის საერთაშორისო მემორიალურ ტურნირში, რომელიც სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. გრანატკინის ხსოვნას ეძღვნება, სსრ კავშირის პირველი ნაკრების ფეხბურთელებმა პირველ ტურში, როგორც ვიტყობინებოდით, ანგარიშით 6:0 დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს გროშინმა (2), შჩერბაკოვმა (2), კაშენცევმა და გივი ნემსაძემ. ნემსაძის გარდა ამ მატჩში ითამაშა თბილისის დინამოელმა დიმიტრაშვილმა.

გფრ-სა და ბელგიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0, ხოლო სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა ჩინეთის გუნდი.

# მისაბაძი თაოსნობა

**ამ** დღეებში თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის თაოსნობით მოეწყო ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი, რომელშიც დედაქალაქის სპორტსკოლების 10 კოლექტივი გამოდიოდა.

მონაწილეებმა და მწვრთნელებმა შეაგროვეს 620 მანეთი, რომლის ნახევარი გადაირიცხა დავით აღმაშენებლის ძეგლის ასაგებ ფონდში, ნახევარი კი დემოგრაფიული ფონდის ანგარიშში.

საინტერესო ასპარეზობაში პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა „დელისის“ (35-ე საფეხბურთო სკოლა) გუნდმა (მწვრთნელი გ. ჰუმბურიძე), მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს „ვარაზმა“ (35-ე საფეხბურთო სკოლა, მწვრთნელი თ. ლორთქიფანიძე) და „ლოკომოტივმა“ (მწვრთნელი ზ. მარაძე).

# ოლიმპიური ფეხბურთი საფრთხის წინაშე

## ი. ბლატერის განცხადება

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა როტერდამში ჟურნალისტებს განუცხადა: ძალაში რჩება ფიფა-ს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის ფეხბურთელები, ვისი ასაკი არ აღემატება 23 წელს.**

— ეს დადგენილება შარშან მივიღეთ. — განაცხადა ი. ბლატერმა. — მერე კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა კომიტეტმა ვენაში იმსჯელა ამ საკითხზე. იქ გამოითქვა მოსაზრებანი, რომ ოლიმპიურ ტურნირზე დაგვეშვა ყველა ასაკის ფეხბურთელები, მაგრამ ფიფა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, ამის თაობაზე ინსტრუქციული წერილებიც დავუგზავნეთ ამ ორგანიზაციაში შემავალ ყველა ფედერაციას. ფიფა მაღალი რანგის მრავალ შეჯიბრებას ატარებს, ფეხბურთელებს დიდი ფსიქოლოგიური და ფიზიკური დატვირთვა აწევთ. ჩვენ კი გვინდა, რომ თითოეულ ქვეყანას ჰყავდეს სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელთა რამდენიმე გუნდი. ჩვენი აზრით, უძლიერესი ფეხბურთელები უნდა გამოდიოდნენ მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირებზე კი ჯობია თავიანთი ძალა სცადონ უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელებმა.

**მაგრამ არის იმის საფრთხე, რომ სოკ-ი არ დაეთანხმება ფიფა-ს და თუ მხარეთა შეთანხმება არ იქნა, შესაძლოა ფეხბურთი საერთოდ ამოიღონ 1992 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან.**

# „არარატი“ სამხრეთ ამერიკაში

**ურუგვაელ** ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია ერევნის „არარატის“ სტუმრობამ, რომელიც 12 იანვარს მონტევიდეოში შეხვდა ამ ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონს, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელ „ნასიონალს“.

„არარატმა“ პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა 11-მეტრიანი დარტყმით, შესვენების შემდეგ კი „ნასიონალმა“ საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

ურუგვაის სპორტული პრესა აღნიშნავს სომხეთის საუკეთესო გუნდის მოთამაშეთა მაღალ ტექნიკას, განვლილი მატჩის კარგ სპორტულ დონეს. აქაურ კორესპონდენტებთან საუბარში „არარატის“ მთავარმა მწვრთნელმა ა. ანდრიასიანმა განაცხადა:

— ურუგვაის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან თამაში ფრიად სასარგებლო იყო. ჩვენს გუნდში ახლა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელია, მათ თავიანთი ძალა გამოსცადეს ისეთ მეტოქესთან, როგორიც „ნასიონალია“. ასეთი საერთაშორისო კონტაქტები მხოლოდ სარგებლობას მოგვიტანს, შეგვძენს იმ საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც ასე გვჭირდება.

ერევნელი ფეხბურთელები კომერციულ ტურნეს განაგრძობენ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ტურნეს მიზანია შეწირულებათა შეკრება სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

# კეთილშობილური მიზნით

**ახალი** საფეხბურთო წლის კეთილ ნიშნად იქცა საქველმოქმედო მატჩების ჩატარება საფეხბურთო კლუბებს შორის. თბილისის „დინამოსა“ და ბრემენის „ვერდერის“ მაგალითს მიბაძეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა ჰოლანდიის „ეინდჰოვენმა“ და სამხრეთ ამერიკის სუპერთასის მფლობელმა „რესინგმა“ (არგენტინა).

ამ ორ გუნდს განზრახული აქვს 15 იანვარს საქველმოქმედო მატჩი გამართონ ზიმბაბვეს დედაქალაქ ხარარეში. შეხვედრის მთელი შემოსავალი გადაეცემა ტერორიზმის მსხვერპლთა დახმარების ფონდს.

# საუკეთესო იყო ს. ჩერჩესოვი

**შვეიცარიის** ქალაქ ლიუცერნში მოეწყო საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში, რომელშიც მოსკოვის სპარტაკელებიც მონაწილეობდნენ. შეჯიბრებაში გამოდიოდნენ, აგრეთვე, იუგოსლავიის ქალაქ მოსტარის „ველეჟი“, ზაგრების „დინამო“ და შვეიცარიის კლუბები „ლიუცერნი“ და „იანგ ბოიზი“.

სპარტაკელებმა ფინალში ანგარიშით 8:2 დაამარცხეს „ველეჟი“ და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მაღალი შეფასება დაიმსახურა სპარტაკელთა რიგებში დაბრუნებულმა მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვმა, რომელიც შარშანდელ სეზონში მოსკოვის „ლოკომოტივში“ გამოდიოდა.

# იოჰან კრუიფი — „ბარსელონაში“

**წარსულის** ერთ-ერთმა გამოჩენილმა ფეხბურთელმა, ამჟამად პოპულარულმა მწვრთნელმა, ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმა კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი ესპანეთის „ბარსელონასთან“.

ი. კრუიფი „ბარსელონაში“ 1988 წელს მოვიდა ერთწლიანი კონტრაქტით. ამ პერიოდში „ბარსელონა“ კვლავ ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად იქცა ესპანეთში, ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გააგრძელა მწვრთნელთან და, გარდა ამისა, უფლება მისცა სრული კონტროლი გაუწიოს კლუბის სპორტულ და ტექნიკურ საქმიანობას. ამის საფასურად ი. კრუიფი წელიწადში მიიღებს 1 მილიონ დოლარს.

— ჩემი აზრით „ბარსელონის“ შემადგენლობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, — განაცხადა ი. კრუიფმა. — საამისოდ ახლა კარგი შესაძლებლობები გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, მოლაპარაკებას შევუდგები ჰოლანდიის ნაკრების მცველთან რონალდ კუმანთან.

# ამხანაგური მატჩები

**კაირო.** აქ ერთმანეთს შეხვდნენ ეგვიპტისა და ფინეთის ეროვნული ნაკრები გუნდები. პირველ წარმატებას ფინელებმა მიაღწიეს, მაგრამ შემდგომში ინიციატივამ ეგვიპტელთა მხარეს გადაინაცვლა და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 2:1.

**ვალეტა.** მალტისა და ისრაელის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი დამთავრდა ისრაელის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:1.

# შოტლანდიაში, 10-24 ივნისს

**მსოფლიო** ჩემპიონატის ფინალური ტურნირი 16 წლის ფეხბურთელთათვის ჩატარდება შოტლანდიაში 10-24 ივნისს. როგორც მომავალი შეჯიბრების ორგანიზატორებმა განაცხადეს, ამ ჩემპიონატის ფინალური მატჩი შედგება დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ საუკეთესო სტადიონის გლაზგოს „იბროკს სტადიუნის“ მინდორზე.

# მესამე შესარჩევ ჯგუფში

1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ევროპის ზონის III საკვალიფიკაციო ჯგუფში შესარჩევი თამაშები გდრ-სა და თურქეთის გუნდების შეხვედრით 12 აპრილს განახლდება. სადღეისოდ კი ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 3 |
| გდრ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 2 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 2 |
| ისლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |

# დჰაულაგირზე — ალპური სტილით

**ამას წინათ მკითხველის თხოვნით გამოვაქვეყნეთ წერილი „დჰაულაგირი — ჰიმალაის მონბლანი“, რომელშიც ალპინიზმის მოყვარულთ გავაცანით დედამიწის ეს ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი და მასზე ასვლების ისტორია. წერილის დასასრულს აღვნიშნეთ, რომ 1988 წლის შემოდგომაზე დჰაულაგირზე მოეწყო საერთაშორისო ექსპედიცია, რომლის წევრთაგან სამნი — საბჭოთა მთამსვლელები იური მოისეევი, ყაზბეგ ვალიევი და ჩეხოსლოვაკიელი ზოლტან დემიანი მწვერვალზე უჟანგბადოს ბალონებოდ ავიდნენ. ვიუწყებოდით იმასაც, რომ ექსპედიცია მოაწყო ჩეხოსლოვაკიამ, მისი დაფინანსება იტალიამ იკისრა, საბჭოთა მხარემ კი მთამსვლელთა აკლიმატიზაცია და სატრანსპორტო სამსახური ითავა.**

**ამ ცნობებმა მკითხველთა მეტი ინტერესი გამოიწვია. ისინი გვთხოვენ მივაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია დჰაულაგირზე 1988 წლის ექსპედიციის შესახებ.**

**სანამ** მკითხველთა სურვილს შევასრულებდით, ჯერ მწვერვალის სიმაღლეზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.

დჰაულაგირის სიმაღლის შესახებ სხვადასხვა წყარო სხვადასხვა ცნობას გვაწვდის. მაგალითად, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ამ მწვერვალის სიმაღლე 8221 მეტრია. აქ გამოქვეყნებულ პლაკატებზე, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაში გამოიცა, დჰაულაგირის სიმაღლედ 8167 მეტრია მითითებული.

ცნობილი შვეიცარიელი მთამსვლელი, მეცნიერი, მწერალი და ფოტოგრაფი გიუნტერ ოსკარ დირენფურტი თავის წიგნში „მესამე პოლუსი“ წერს: „დჰაულაგირის ოფიციალურ სიმაღლედ ჯერ კიდევ ითვლება 26 795 ფუტი — 8167 მეტრი, მაგრამ ხელახალი გაზომვის შედეგად სიმაღლის ნიშნული 8222 მეტრამდე უნდა ავიდეს“.

ეს წიგნი 1970 წელს დაისტამბა, მაგრამ დჰაულაგირის სიმაღლედ ძალზე ხშირად კვლავ 8167 მეტრს მიუთითებენ.

* * *

ახლა კი ვალიევის, მოისეევისა და დემიანის ასვლის შესახებ.

ეს სამეული ჩეხოსლოვაკიის მცირე ექსპედიციის წევრთა შორის იყო. ექსპედიცია ორად გაიყო. ერთმა ჯგუფმა ანაპურნას (8078 მ) შეუტია, მეორემ — დჰაულაგირს. ორივემ მწვერვალებზე ეგრეთ წოდებული ალპური სტილით მიიტანა იერიში და ორივემ მიზანს მიაღწია.




დჰაულაგირის მასივი;

ალპური სტილი ჰიმალაური სტილისაგან ძირფესვიანად განსხვავდება. „რვაათასიან“ მწვერვალებზე იერიში ჩვეულებრივ ორ თვემდე გრძელდება. იგი მოითხოვს მებარგულთა უზარმაზარ ქარავანს, შერპათა დახმარებას, სხვადასხვა სიმაღლეზე საშუალედო ბანაკების მოწყობას, იქ სამშრვლისა და საკვების წინასწარ აზიდვას, საფეხურებრივ აკლიმატიზაციის გავლას... ყოველივე ამისთვის საჭიროა სხვადასხვა სიმაღლეზე რამდენჯერმე ასვლა-ჩამოსვლა. ასე ავიდა, მაგალითად, საბჭოთა ექსპედიცია ჯომოლუნგმაზე.

რაც შეეხება ალპური სტილით ასვლას, იგი, ჩვეულებრივ, მთამსვლელთა პატარა ჯგუფებით სწრაფი

იხ. მე-4 გვ

# ბრძოლა საგზურებისათვის

**ოდესა.** ქალაქის დასასვენებელ ბაზა „იუნოსტში“ მიმდინარე სსრ კავშირის პირველობაზე (1971 წელს დაბადებულ მოჭადრაკე გოგონათა შორის) 6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ხურციძე (თბილისი), კიბრიკი (ლენინგრადი), კორკინა (რსფსრ), იურიევა (ბაქო) — 5-5 ქულა თითოეულს, ნიკოლაძეს (ქუთაისი) — 4,5, დარჩიას (ბათუმი) — 4 ქულა. 3,5 ქულა აქვს ლებანიძეს, ხოლო ეძგვერაძეს — 3 (ორივე — თბილისი).

შეგახსენებთ, რომ პირველ სამ ადგილზე გასულნი და კადეტთა შორის სამი საუკეთესო მონაწილეობას მიიღებენ 16 და 18 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობების შესარჩევ ტურნირებში.

**თამარ ხუბაშვილი (დეპეშით).**

# ხუთი ტურის შემდეგ

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში გრძელდება დედაქალაქის ქალთა ჩემპიონატი.

5 ტურის შემდეგ 4,5 ქულით დაწინაურდა ინგა ხურცილავა. შემდეგ მოდიან: ცირა მერეკლიშვილი, ლია სადუნიშვილი — 4-4, ნინო ქევხიშვილი, იამზე თვაური, მაია ხუციშვილი, გიული ალიხანაშვილი, სვეტლანა კალანდარიშვილი — 3,5-3,5.

შეგახსენებთ, რომ I-II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები საქართველოს პირველობის ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებენ, ხოლო III-IV ადგილების მფლობელნი ნახევარფინალში ითამაშებენ.

## მკითხველი — გაზეთი

**ძვირფასო რედაქცია!**

**უცხოეთში საბჭოთა ფეხბურთელების მიწვევა სოლიდურ საფასურად თითქმის ჩვეულებრივ ამბად იქცა. რატომ არ შეიძლება საბჭოთა საფეხბურთო გუნდებმაც შეიძინონ უცხოელი მოთამაშე?**

**თევრად ედილაშვილი.**
**ქარელი. სოფ. ბრეთი.**

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ამ შეკითხვაზე გაგცეთ ამომწურავი პასუხი, რადგან საბჭოთა გუნდებში უცხოეთის ფეხბურთელების მოწვევაზე ჯერ არავითარი ოფიციალური გადაწყვეტილება არ არსებობს. სხვათა შორის, ამ დღეებში იგივე შეკითხვა დაუსვეს ახლო წარსულში ცნობილ საბჭოთა კომენტატორს ნიკოლაი ოზეროვს. აი, მისი პასუხი: ჩვენი ფეხბურთელების უცხოეთში გამოსვლით ჯერჯერობით უფრო მეტს ვკარგავთ, ვიდრე ვიძენთ. მიმდინარეობს ტალანტების გაყიდვის პროცესი, სანაცვლოდ კი, გარდა ფულისა, არაფერს ვიღებთ. მთელ მსოფლიოში კი საქმე სხვაგვარადაა. საჭიროა ორმხრივი გაცვლა. (იხ. გაზეთი „ტრუდი“, № 8, 1988 წ.).

# დჰაულაგირზე — ალპური სტილით

(დასასრული)

ტემპით, ყოველგვარი საშუალედო ბანაკების მოწყობის გარეშე ხორციელდება. ასეთი სტილით ასვლისას თითოეულ მთამსვლელს გაცილებით მეტი ჯაფა ადგება და, ცხადია, ყოველივე აქედან გამომდინარე, ხიფათის საშიშროებაც იზრდება.

ალპური სტილი ერთ-ერთი „რვაათასიანის“ — ნანგა-პარბატის დასალაშქრავად პირველად 1953 წელს გამოიყენა ჰერმან ბულმა. ექსპედიცია, რომელშიც ბული იყო, ნანგა-პარბატის დაპყრობას ჰიმალაის მთებში მიღებული ტრადიციული მეთოდით აპირებდა, მაგრამ ასვლისას ვითარება შეიცვალა. მწვერვალამდე სიმაღლეში კიდევ დიდი მანძილი — 1225 მეტრი იყო გასავლელი, როცა ჰერმანი მარტოდმარტო დარჩა. სიარული კიდევ შეეძლო და გადაწყვიტა ასვლა ალპური სტილით გაეგრძელებინა.

სწრაფად რომ ევლო, მთამსვლელი მწვერვალისკენ ჟანგბადის აპარატის, კარვის, საძილე ტომრისა და თითქმის საკვების გარეშე გაუდგა გზას. მან ღამის 2 საათზე დაიწყო გადამწყვეტი იერიში. მეორე დღეს, საღამოს 7 საათზე მიაღწია მწვერვალს.

1980 წლის შემოდგომაზე იტალიელმა რაინჰოლდ მესნერმა მარტოდმარტომ და ასევე ალპური სტილით დალაშქრა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა. მან სამ დღეში მიაღწია მიზანს, რაც





დჰაულაგირის ფერდობზე

სენსაციური შედეგი იყო.

ვალიევის, მოისეევისა და დემიანის ასვლამდე დჰაულაგირი, ინგლისის დეპეშათა სააგენტო რეიტერის სტატისტიკის მიხედვით, ალპური სტილით სამმა ექსპედიციამ დალაშქრა.

— ჩვენი მარშრუტი ტექნიკურად რთული იყო, — ამბობს ვალიევი. — მწვერვალზე სამხრეთ-დასავლეთის ქედით, მანამდე უვალი გზით



ზოლტან დემიანი — იური მოისეევი — ყაზბეგ ვალიევი

ავედით. 6800-დან 7000-მეტრამდე დავძლიეთ კლდოვანი ბასტიონი, რომელმაც ცოტათი კომუნიზმის პიკის სამხრეთი კედელი მოგვაგონა. ეს მონაკვეთი, ყინულოვან-კლდოვანი კედელი, ყველაზე რთული იყო.

მთამსვლელები მწვერვალზე მეშვიდე დღეს ავიდნენ. გადამწყვეტ იერიშზე ისინი დილის 11 საათზე გავიდნენ. ქროდა ძლიერი ქარი, იმდენად ძლიერი, რომ დემიანი თურმე შეფიქრიანდა კიდეც. მას ამხანაგებისთვის უთქვამს, იქნებ აჯობებს, დავეშვათ და გამოდარებას ქვემოთ დაველოდოთო, მაგრამ ვალიევს და მოისეევს შეუგულიანებიათ — ასეთ ქარში ასვლების დიდი გამოცდილება გვაქვსო და გზა გაუგრძელებიათ. შებინდებისას, საღამოს 7 საათზე, მთამსვლელებმა მიზანს მიაღწიეს, დატოვებულ კარვამდე უკვე სიბნელეში, 10 საათსა და 30 წუთზე ჩამოვიდნენ.

ამ სამეულს, იაპონელ მთამსვლელთა ჯგუფის წევრები, როგორც იტყვიან, ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ, მაგრამ ძლიერი ქარის გამო მათ მწვერვალამდე ვერ ააღწიეს.

მოისეევისთვის, რომელიც შარშანდელი რეიტინგის მიხედვით საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი მთამსვლელი აღმოჩნდა, დჰაულაგირი პირველი „რვაათასიანი“ მწვერვალი იყო, ვალიევისთვის — მეორე (ჯომოლუნგმის შემდეგ), ხოლო ჩეხოსლოვაკიელი დემიანისთვის — მესამე (ლჰოცზესა და ჯომოლუნგმის შემდეგ. იგი ამ მწვერვალებზეც ჟანგბადის ბალონების გარეშე ავიდა).

თავად დჰაულაგირზე დემიანი რიგით 96-ე ამსვლელი იყო, მოისეევი — 97-ე, ხოლო ვალიევი — 98-ე.

სხვათა შორის, დჰაულაგირს თავისი რეკორდსმენი ჰყავს. ეს გახლავთ ნეპალელი ანგ რიტა, რომელმაც სულ რაღაც ერთ წელიწადში (1979-80 წლებში) ამ მწვერვალზე სამჯერ მოასწრო ასვლა. მეტიც, 1980 წლის მაისში იგი ექვსიოდე დღეში... ორჯერ ავიდა დჰაულაგირზე.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ჩეხოსლოვაკიის ექსპედიციის მონაწილე საბჭოთა მთამსვლელებს.

დჰაულაგირზე ასვლის შემდეგ მათ ამ მწვერვალის გიგანტურ მასივს... ირგვლივ შემოუარეს. ეს „ტურისტული“ ლაშქრობა ერთგვარი დაზვერვა იყო 1991 წელს დჰაულაგირზე დაგეგმილი ყაზახეთის ექსპედიციისთვის (ვალიევი და მოისეევი ალმაათელები არიან). როგორც მთამსვლელები ამბობენ, მათ დჰაულაგირამდე მისასვლელი მოხერხებული გზებიც აღმოაჩინეს და ტექნიკურად საინტერესო, რთული მარშრუტიც შეიგულეს.

ვალიევი და მოისეევი ვარაუდობენ, რომ ამ მარშრუტს თანაგუნდელებთან ერთად ალპური სტილით გაივლიან და ჰიმალაის ტიპის სასიმაღლო ასვლებისთვის ახალ, რთულ ამოცანას გადაწყვეტენ.

სხვაგვარად ამ საქმისთვის ხელის მოკიდება არ ღირსო, ამბობენ ისინი.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

# სერგეი ბუბკა — პირველი

**ნიუ-იორკი.** პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსმა“ 1988 წლის ოლიმპიური სეზონის „პირველ ნომერ მძლეოსნად“ დაასახელა დონეცკელი ჭოკით მხტომელი ს. ბუბკა. საბჭოთა სპორტსმენს უპირატესობა მიანიჭა მძლეოსნობის სპეციალისტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, რის შედეგადაც მას 300 ქულა დაუგროვდა.

მეორე ადგილზე გავიდა ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ბირთვის კვრაში ულფ ტიმერმანი (გდრ) — 290 ქულა. მესამე ადგილი კი წელს ხვდა პოპულარულ სპრინტერსა და სიგრძეზე მხტომელს, ოლიმპიურსა და მსოფლიო ჩემპიონს, ამერიკელ კარლ ლიუისს (აშშ) — 289 ქულა.

# მეხუთე დამარცხება

**გაიმართა** კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირის მეხუთე წრის მატჩები. მოსკოვში ცსკა ისრაელის „მაკაბის“ მასპინძლობდა. ეს კოლექტივები ამ მატჩამდე ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ნეიტრალურ მოედანზე. საერთო ანგარიში გუშინწინდლამდე 3:3 იყო.

„მაკაბი“ არ არის სუსტი მეტოქე. იგი ორჯერ ფლობდა ამ საპატიო პრიზს და ამდენჯერვე თამაშობდა ფინალში. „მაკაბის“ ახლანდელი შემადგენლობა უმთავრესად ამერიკელი პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, რაც ცსკა-ს წინაშე დამატებით პრობლემებს ქმნიდა. მით უფრო, რომ მიმდინარე გათამაშებაში არმიელები ერთობ წარუმატებლად თამაშობენ — ფინალური ტურნირის ოთხი მატჩიდან ოთხივე წაგებული ჰქონდათ.

ცსკა დამარცხდა მეხუთედაც, ამჯერად ანგარიშით 92:97 (37:48). ამ შეხვედრაში უპირატესობა მთლიანად „მაკაბის“ მხარეს იყო და მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში 20 ქულითაც კი მიჰყავდა. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მხოლოდ შეხვედრის მიწურული, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

გამარჯვებულთა შორის შედეგიანი თამაშით გამოირჩნენ თავიკენ ბარლოუმ და კევინ მაგიმ. პირველმა თავის კოლექტივს 23 ქულა შესძინა, მეორემ — 21. არმიელთა შორის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ სერგეი ტარაკანოვი (25) და ვიქტორ ბერეჟნოი (21).

მატჩის წინ „მაკაბის“ დამფინანსებელმა ფირმამ „ელიტმა“ მიწისძვრისგან დაზარალებულ სომეხ ბავშვებს 500 კილოგრამი ტკბილეულობა გადასცა.

კიევში კი გაიმართა კორაჩის თასის მორიგი კალენდარული მატჩი ადგილობრივ „სტროიტელსა“ და საფრანგეთის კლუბ „ორტეზს“ შორის. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 4 ქულით მოიგეს (59:55), მაგრამ ძირითადი დრო ფრედ 98:98 დამთავრდა. გამარჯვებული გამოვლინდა დამატებით ხუთ წუთში. ეს გახლდათ მასპინძელთა გუნდი — 112:110.

ამ მატჩის საუკეთესო სნაიპერი უკრაინელი პოდკოვიროვი იყო — 34 ქულა.

# „დეტროიტ პისტონსი“

ეს კლუბი, როგორც ცნობილია, შარშან კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ასეთი წარმატება მას კარგა ხანია არ ჰქონია. ნახევარფინალში „დეტროიტ პისტონსმა“ თვით სახელგანთქმულ „ბოსტონ სელტიქსს“ სძლია საერთო ანგარიშით 4:2, ხოლო ფინალში მხოლოდ მე-7, გადამწყვეტ მატჩში დამარცხდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსთან“ — 3:4. ვიმედოვნებთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ინტერვიუ „დეტროიტ პისტონსის“ მწვრთნელ ჩაკ დეილისთან, რომელიც ამერიკულ ჟურნალ „ჰუპში“ დაიბეჭდა. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ამ ინტერვიუდან.

„დეტროიტ პისტონსში“ ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა, მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 33 წლის ადრიან დენტლია. იგი ნოტრ-დამის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა. შემდეგ გამოდიოდა სხვადასხვა პროფესიულ კლუბებში და თავისი სპორტული კარიერის დასასრულს „დეტროიტ პისტონსში“ აღმოჩნდა. აი, რას ამბობს მასზე ჩაკ დეილი: „თქმა არ უნდა, დენტლი პროფებს შორის პროფია, ძალიან მაღალი კლასის მოთამაშეა, „ოსტატი“, როგორც მას თანაგუნდელები ეძახიან. იგი მწვრთნელის დავალებას ყოველ მატჩში უნაკლოდ ასრულებს.“ ტანმორჩილი ისაია თომასი (180 სმ) დენტლისთან ერთად „დეტროიტ პისტონსის“ ჭეშმარიტი მშვენებაა. აი, ჩაკ დეილის აზრი: „დენტლისთან ერთად გუნდის ლიდერის უღელს ეწევა „ქვეითთა გენერალი“ (დაბალი ტანის გამო) ისაია თომასი, რომელიც უკვე მეექვსე სეზონს ატარებს ჩვენთან“.

ამერიკელი მიმომხილველები „დეტროიტ პისტონსის“ ერთ-ერთ მთავარ ღირსებად დაცვაში ჩინებულ თამაშს მიიჩნევენ. „სანამ თომასი და დენტლი ჩვენი ბომბარდირები იყვნენ, შარშანდელ სეზონში ბურთების საუცხოო შეფარდება გვქონდა. საერთოდ, ჩვენს გუნდში სროლების შედეგიანობის ასამაღლებლად რაიმე განსაკუთრებული ღონისძიების გატარება არ დაგვჭირვებია. ამის უპირველესი მიზეზი კი, ალბათ, დაცვაში ძლიერი თამაშია. ჩვენი საშუალო შედეგიანობა მატჩში იყო 107,8 ქულა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მეტოქეების საშუალო შედეგიანობა მხოლოდ 46 პროცენტი იყო, — ამბობს ჩაკ დეილი — ჩვენთვის აუცილებელი იყო კიდევ ერთი ტანმაღალი სპორტსმენი, რომელიც კარგად ითამაშებდა მეტოქის ფარქვეშ, და აი „დრაფთ ჩოისის“ (ასე ეწოდება მოთამაშეთა შერჩევას ნბა-ში) წინა დღეს წავაწყდით 213 სანტიმეტრი სიმაღლის უილიამ ბედფორდს. იგი მხოლოდ მეექვსე იყო 1986 წლის „დრაფთში“, არავის აეჭვებს, რომ მას ყველა მონაცემი აქვს, რომ ნბა-ს გამორჩეული მოთამაშე გახდეს. ცენტრალური თავდამსხმელები ბედფორდი, როდმენი და სილეი ერთად — ეს ძალიან სწრაფი წინა ხაზია.

როგორც პრესა იუწყება, ახალ სეზონში დეტროიტელებმა წარმატებით აიღეს სტარტი და ამერიკელი მიმომხილველების უმრავლესობა „დეტროიტ პისტონსს“ ნბა-ს ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად მიიჩნევენ.

**მოამზადეს მერაბ კალანდაძემ და ავთანდილ მაღრაძემ.**

# პროფესიონალები ეკრანზე

**ჩვენი** სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს უცხოეთის პროფესიონალ კალათბურთელთა ცხოვრებას, და ეს გასაგებიცაა. საბჭოთა გუნდები სულ უფრო ხშირად ხვდებიან ნბა-ს ლიგის წარმომადგენლებს, რაც გარკვეულ კვალს სტოვებს მათ თამაშზე. საქართველოს ტელევიზიის სპორტულმა რედაქციამ არაერთი საინტერესო გადაცემა მოამზადა ამერიკის პროფესიონალ კალათბურთელებზე. ამ გადაცემებმა ჩვენს მაყურებელს ნაწილობრივი წარმოდგენა შეუქმნა პროფესიული კალათბურთის არსზე, მის ჩვევებსა და ნიუანსებზე.

საკავშირო ტელევიზია ახალ სასიამოვნო სიურპრიზს გვთავაზობს. დღეს, 14 იანვარს 20 საათზე თბილისის დროით მეორე საერთო-საკავშირო პროგრამით გადაიცემა აშშ-ს კალათბურთელთა ჩემპიონატის ერთი კალენდარული მატჩი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნბა-ს (კალათბურთის ეროვნული ასოციაციის) პროფესიონალი კლუბები: „ატლანტა ჰოუკსი“ და „დეტროიტ პისტონსი“.

# ორი რანგ—ლისტი

**ევროპის** მაგიდის ჩოგბურთელ ვაჟთა საუკეთესო ათეული დღეისთვის ასე გამოიყურება: 1. მიკაელ აპელგრენი, 2. იან-ოვე ვალდნერი, 3. ერიკ ლინდი, 4. იორგენ პერსონი (ყველა — შვეცია), 5. ანჯეი გრუბა, 6. ლეშეკ კუპარსკი (ორივე — პოლონეთი), 7. ანდრეი მაზუნოვი (სსრ კავშირი), 8. დესმონდ დუგლასი (ინგლისი), 9. იორგ როსკოფი (გფრ), 10. ტიბორ კლამპარი (უნგრეთი).

**1989 წლის** სპორტული სეზონის დაწყების წინ მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ვაჟთა ოცეულში ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: 1. მატს ვილანდერი (შვეცია), 2. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 3. ანდრე აგასი (აშშ), 4. ბორის ბეკერი (გფრ), 5. სტეფან ედბერგი, 6. კენტ კარლსონი (ორივე — შვეცია), 7. ჯიმი კონორსი (აშშ), 8. იაკობ ჰლასეკი (შვეიცარია), 9. ანრი ლეკონტი (საფრანგეთი), 10. ტიმ მაიოტი, 11. ჯონ მაკინროუ (ორივე — აშშ), 12. იანიკ ნოა (საფრანგეთი), 13. მიროსლავ მეჩირჟი (ჩეხოსლოვაკია), 14. ანდრეი ჩესნოკოვი (სსრ კავშირი), 15. არონ კრიკშტეინი (აშშ), 16. თომას მასტერი (ავსტრია), 17. ემილიო სანჩესი (ესპანეთი), 18. გილერმო პერეს-როლდანი (არგენტინა), 19. მიკაელ პერნფორსი (შვეცია), 20. პატ კეში (ავსტრალია).

**(საქ. ინფ.).**

# ფორმენმა კვლავ მოიგო

**ყოფილი** ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის ჯორჯ ფორმენი, რომელიც ახლა 40 წლისაა, განაგრძობს თავის წაუგებელ სერიას მას შემდეგ, რაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ რინგს დაუბრუნდა.

გაიმართა მისი მორიგი მატჩი 27 წლის დევიდ ჯაკოსთან (აშშ). ბაკერსფილდში ფორმენმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა. მატჩი პირველივე რაუნდში დამთავრდა. ეს მისი მეთოთხმეტე მოგებაა 14 მატჩში რინგზე დაბრუნების შემდეგ. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ თოთხმეტივე მატჩი ნოკაუტით დამთავრდა.

ფორმენი ამჟამად 114 კგ იწონის. თავისი კარიერის მანძილზე მან 58 მატჩი გამართა, აქედან 56 მოიგო და 2 წააგო. საყურადღებოა ის, რომ ამ მოგებული მატჩებიდან 54 ფორმენმა ნოკაუტით დაამთავრა.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

**„ლელოს“** 12 იანვრის ნომერში ვიუწყებოდით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დიდთოვლობის გამო ზოგიერთი ქალაქიდან და რაიონიდან სპორტული ლატარიების რესპუბლიკურმა სამმართველომ დასამუშავებლად ვერ მიიღო „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ მეორე ტირაჟის ბილეთების „ბვ“ ნაწილები.

გაცნობებთ, რომ ჭიათურისა და საჩხერის რაიონებიდან უკვე მიღებულია ორივე ლატარიის მეორე ტირაჟის ბილეთების „ბვ“ ნაწილები. ეს ბილეთები მონაწილეობას მიიღებენ 03 ტირაჟში.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66485**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 ~~7 8 9~~ 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05688